ᲡᲡᲘᲞ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ
ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ №01-05-04/113

ქ. თბილისი 16 მაისი 2019

**სტუ-ის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ა. აბშილავას მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 მაისის №01-05-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი 2019-2020 სასწავლო წლისათვის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორის 0.5 საშტატო ერთეულზე 200-საათიანი დატვირთვით (საგანთა ჯგუფი №44);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**